# უკანონო მსჯავრდების გამო სახელმწიფოს ზიანის ანაზღაურება დაეკისრა

სასამართლოს გადაწყვეტილებით საქართველოს მთავარ პროკურატურას ვ.შ.-ს სასარგებლოდ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრა.

პირს საია იცავდა სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც იგი გამართლდა. მან საიას დახმარებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება, სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობისას მისთვის მიყენებული ზიანის

გამო.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა სარჩელი და საქართველოს მთავარ პროკურატურას დაეკისრა მის სასარგებლოდ როგორც მატერიალური, ისევე მორალური ზიანის ანაზღაურება.

მთავარ პროკურატურის საჩივარი უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია და სასამართლოს გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge